

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ენების ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ენების ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) სამართლებრივ სტატუსს, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და ანესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის რექტორის დაქვემდებარებაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ დებულებით, უნივერსიტეტის წესდებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა შიდა დოკუმენტებით.

3. ცენტრი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლისა და რექტორის წინაშე.

მუხლი 2. ცენტრის ფუნქციები

ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში უზრუნველყოფს უცხო ენების სწავლების თანამედროვე სტანდარტებისა და მეთოდური სიახლეების დანერგვას;

ბ) ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას;

გ) ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს;

დ) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად უზრუნველყოფს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს;

ე) უზრუნველყოფს უცხო ენის დონის კომპეტენციის დადგენას შესაბამისი სტუდენტებისთვის;

ვ) კოორდინაციას უწევს საგამოცდო საკითხების შედგენას;

ზ) უზრუნველყოფს სპეციალისტების შერჩევას/მოწვევას და ხელმძღვანელობისთვის მათ წარდგენას;

თ) ადგენს უცხო ენის ჯგუფებს;

ი) ახორციელებს სტუდენტთა კონსულტირებას;

კ) ახორციელებს საკუთარი საქმიანობის ანალიზს და ეფექტიანობის გაზრდისათვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს, ამზადებს ანგარიშს;

ლ) უზრუნველყოფს ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარებას;

მ) უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო დოკუმენტაციის თარგმნას საავტორიზაციო/სააკრედიტაციო ვიზიტისთვის;

ნ) მონაწილეობს უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება /განვითარება/განხორციელებაში;

ო) ახორციელებს ისეთ უფლებამოსილებებს, რაც არ არის გათვალისწინებული ამ დებულებით, მაგრამ განსაზღვრულია შიდა საუნივერსიტეტო აქტებით და გამომდინარეობს უნივერსიტეტის საჭიროებიდან.

მუხლი 3. ცენტრის ხელმძღვანელობა

1. ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც ხელმძღვანელობს უფროსი. ცენტრის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს/ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი დამფუძნებლის სრულუფლებიან წარმომადგენელთან ზეპირი შეთანხმების საფუძველზე.

2. ცენტრის თანამშრომელთა რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო განრიგის შესაბამისად, ხოლო თანამშრომელთა უფლებამოსილებები, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილია ამ დებულებით ცენტრისთვის განსაზღვრული ფუნქციების შესრულება დგინდება დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებებითა და სამუშაოს აღწერილობებით.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულებაში ცვლილების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.

2. ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბრძანებით.